თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

რატომ დუმს ჰობოი?

იხილეთ მე-3 გვერდზე

№10 (737) 7 - 13 სექტემბერი, 2015 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი PSnews.ge

ჯვრისწერა ხვამლზე

მათი სიყვარულის ისტორია დაახლოებით ორი წლის წინ, თოვლიან სათაფლიაზე დაიწყო.

გიგა შუბითიძე მთამსვლელთა და მოგზაურთა კლუბის „თეთნულდის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია, შორენა ლაღაძე კი ტელერადიოკომპანია „რიონის“ ჟურნალისტი.

ექსტრემი და ბუნების სიყვარული წყვილის ურთიერთობის ორწლიან პერიოდს თან სდევდა.

გიგამ საყვარელ ქალს ხელი ზღვის დონიდან 4000 მეტრზე, მწვერვალ თეთნულდის პლატოზე სთხოვა, ხოლო ჯვრის დაწერა წყვილმა მისტიურ ხვამლის მთაზე გადაწყვიტა.

ჯვრისწერა 2015 წლის 29 აგვისტოს ხვამლის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში შედგა.

ჩვენი რედაქცია ულოცავს „ექსტრემალურ“ წყვილს ოჯახის შექმნას და ბედნიერ მომავალს უსურვებს.

მარინა კვიტაშვილი: „პირველი ნაკადის პაციენტების სისხლში C ვირუსი უკვე აღარ არსებობს!“

იხილეთ მე-2 გვერდზე

საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა

იხილეთ მე-2 გვერდზე

პროცესი ჭიანურდება — ხალხის პროტესტით დაღლას ელოდებიან?!

იხილეთ მე-4 გვერდზე

თეორიულად შესაძლებელია, პრაქტიკულად განხორციელება — ძალიან რთული

ქონება, რომელიც სახელმწიფომ „იჩუქა“, კანონიერ მფლობელებს ჯერ ვერ დაუბრუნდება

იხილეთ მე-5 გვერდზე

დაკანონებული იძულება — რა ცვლილებებს ითხოვს არასამთავრობო სექტორი კანონში

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქუთაისში 332 კმ-იანი წყალმომარაგების ქსელი 2016 წლისთვის უნდა გამოიცვალოს

იხილეთ მე-7 გვერდზე

კერძო დაწყებითი სკოლა „ლონე ქვეყნისა“ აცხადებს ვაკანსიას

იხილეთ მე-7 გვერდზე

PSnews.ge
ISSN 1987-7056

საქართველოში ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი წარმოგიდგენთ საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა სტატისტიკურ მონაცემებს გასული თვის მდგომარეობით.

2015 წლის აგვისტოს თვე 852 377 ვიზიტით განისაზღვრა, რაც 2014 წლის იგივე პერიოდის მაჩვენებელზე 10%-ით მეტია.

ამასთან, შემოღებული პირობითი დაყოფის მიხედვით, ხვედრითი წილის ურთიერთმიმართება შემდეგია:

ა) ტურისტი - 383 619 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 45%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 2%);

ბ) ტრანზიტი - 224 993 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 26,4%, მატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან 54%);

გ) სხვა - 243 765 ვიზიტი (საერთო რაოდენობის 28,6%, კლება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან -3,5%).

რაც შეეხება იანვარ-აგვისტოს ინტერვალს, ქვეყანაში უკვე 3 922 376 ვიზიტი განხორციელდა, რაც 6%-ით მეტია 2014 წლის ანალოგიური საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელზე.

2015 წლის აგვისტოშიც ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ სომხეთიდან (+24,7%), აზერბაიჯანიდან (+8,3%), თურქეთიდან (-10%), რუსეთიდან (+23%) და უკრაინიდან (+5,6%) განხორციელდა. ასევე, პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვარ-აგვისტოშიც გამოირჩნენ ლიტვა, ჩეხეთი, ლატვია, გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდები (შესაბამისად 21%, 20%, 14%, 12%, 10%, 10% და 10%), შუა აზიის ქვეყნებიდან ყაზახეთი (36%), აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან - ბელორუსის და მოლდოვას მოქალაქეები 54% და 35%–იანი, ხოლო აზიის ქვეყნებიდან - არაბთა გაერთიანებული საემიროები 766% და საუდის არაბეთი - 75%-იანი მატებით. აქვე აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეების 10%-იანი ზრდა.

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

მარინა კვიტაშვილი: „პირველი ნაკადის პაციენტების სისხლში ძ ვირუსი უკვე აღარ არსებობს!"

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ საქართველოში დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის პირველი ეტაპი, რომლისფარგლებშიც მოხდება 5000 პაციენტის დიაგნოსტირება და უფასო მკურნალობა C ჰეპატიტის საწინააღმდეგო უახლესი ანტივირუსული პრეპარატებით (სოფოსბუვირი).

ჯანდაცვის სამინისტროს ბოლო მონაცემებით, ამჟამად პროგრამაში უკვე დარეგისტრირებულია 7600-ზე მეტი პაციენტი, ხოლო მკურნალობა დაიწყო 2100-მა პაციენტმა.

C ჰეპატიტის და ზოგადად ვირუსული დაავადებების მკურნალობა აქტიურად მიმდინარეობს თბილისის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში. ბუნებრივია, ამ ახალი პროგრამის პერიოდშიც პაციენტთა განსაკუთრებული „შემოტევა" სწორედ ინფექციური პათოლოგიების ცენტრს აქვს.

დღეს ჩვენი რუბრიკის „ვიცხოვროთ C ვირუსის გარეშე" სტუმარია ინფექციური პათოლოგიების ცენტრის ჰეპატოლოგი, პროფესორი მარინა კვიტაშვილი. აქვე მნიშვნელოვანი და სიმბოლურია იმის აღნიშვნა, რომ ქალბატონი მარინას დედა, ეთერ ბოცვაძე გახლდათ სწორედ საქართველოში ჰეპატოლოგიური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

მარინა კვიტაშვილი

დიალოგი

— ქალბატონო მარინა, C ჰეპატიტის დიაგნოზი ჯერ კიდევ ერთი-ორი თვის წინ საქართველოში სასიკვდილო განაჩენად ითვლებოდა. ვიდრე იმაზე ვისაუბრებდეთ, დღეს რა მდგომარეობა არის ამ კუთხით, იქნებ ამ ვირუსის შესახებ ცოტა რამ უთხრათ ჩვენს მკითხველს.

— ეს ვირუსი 1987 წელს ამერიკელმა მეცნიერმა აღმოაჩინა, ხოლო შემდგომ, 1994 წელს C ჰეპატიტის წინააღმდეგ პირველი თაობის რეაქტივები გაჩნდა. ეს რეაქტივები შემდგომში კიდევ უფრო განვითარდა. საქართველოში უკვე 1996 წლიდან ხდებოდა C ჰეპატიტის ვირუსის დიაგნოსტიკა.

ჩვენს ქვეყანაში ჰეპატოლოგიური სკოლა ჩამოაყალიბა და ამ პროცესს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი, ქალბატონი ეთერ ბოცვაძე და დღესდღეობით მის დაწყებულ საქმეს ვაგრძელებთ. დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ ასევე, ინფექციური პათოლოგიების ცენტრის დირექტორს, ბატონ თენგიზ ცერცვაძეს, რადგან ამ სფეროში დაწყებული დიაგნოსტიკური და ზოგადად, კლინიკური მიმდინარეობა არ ჩაადგდ და ყველაფერი, რაც კი თანამედროვე მედიცინაში არსებობს ჰეპატიტის დიაგნოსტიკისთვის, საქართველოშიც არის. სწორედ ამან - ჩვენი კოლეგების მაღალმა პროფესიონალიზმმა და დიაგნოსტიკური ცენტრის სრულფასოვნებამ გამოიწვია ის, რომ ჩვენი ქვეყანა შეირჩა ამ პროგრამის - „STOP-C"-ს შესასრულებლად.

— როგორ ფიქრობთ, საერთოდ რატომ მოხდა საქართველოში C ვირუსის ასეთი მასშტაბური გავრცელება და ძირითადად, რა გზით შეიძლება დაავადდეს ადამიანი ამ ვირუსით?

— ყველასთვის ცნობილია და ახალს არაფერს გეტყვით, რომ, პირველ რიგში, ეს არის ნარკომანების დაავადება. სამწუხაროდ, საქართველოში დაავადებულთა დაახლოებით 70-75% ამ გზით ავადდება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ზუსტად არავის შეუმოწმებია და ძალიან ძნელია ამის სტატისტიკის წარმოება.

მეორე გზა დაავადებისა, არის ტატუირება. ტატუირების დროს ყველა ადამიანზე ნემსი უნდა იყოს გამოცვლილი. რამდენად არის ეს წესი დაცული, მე ვერ გეტყვით. სხვათაშორის, ამის წინააღმდეგ კამპანიაც იყო წამოწყებული.

მესამე - ეს არის სტომატოლოგიური მანიპულაციები. თუმცა, სტომატოლოგიური მანიპულაციები დღეს აქტიური არ არის და მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ თუ ერთეული შემთხვევები არსებობს, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ ელემენტარული ჰიგიენა არ არის დაცული და სტერილიზაცია არის დარღვეული. ანუ, საუბარი იმაზე, რომ მაღალი დონის სტომატოლოგიურ კლინიკებში დაავადდეს ადამიანი C ჰეპატიტით, გამორიცხულია.

რაც შეეხება, ზოგადად სამედიცინო მანიპულაციებს - დაწყებული ერთჯერადი ნემსით, დამთავრებული ნებისმიერი ოპერაციით - ეს არის კატეგორიულად გამორიცხული. ძალიან ბევრი კერძო კლინიკა არსებობს და ყველამ იცის, ეს ერთი შეცდომაც რომ მოხდეს, ამით ყველაფერი დამთავრდება.

თუმცა, არ შეიძლება იმის დამალვაც, რომ ხდება ხოლმე ასეთი ერთეული შემთხვევები და კოლეგიალობის გამო, მე ამას ვერ ვიტყვი, რა თქმა უნდა. თუმცა, საბედნიეროდ ასეთი იყო მხოლოდ ერთეული შემთხვევები.

რაც შეეხება საპარიკმახეროებს, ეს სფერო კი ნამდვილად მისახედია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ საპარიკმახეროში დაავადების მაღალი რისკი არსებობს, რადგან თუ ძალიან მაღალი კონცენტრაცია არა აქვს იმ ადამიანს, ვისი სისხლიც შეიძლება მოხვდეს სხვის სისხლში, მაშინ გამორიცხულია დაავადება. C ჰეპატიტი რომ დაემართოს ვინმეს, საჭიროა სისხლის წვეთის მეათიათასედი მაინც იყოს დაავადებული, მაშინ, როცა მაგალითად, B-ჰეპატიტის დროს ეს მაჩვენებელი არის მეტი - 0.04. ამიტომ არის ბე უფრო ძლიერი და ავი ვირუსი.

— როგორც უკვე ვთქვით, ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა მიმდინარეობს C-ჰეპატიტთან დაკავშირებით — „STOP C" და პირველი კარგი შედეგებიც არის. ბევრ პაციენტს უკვე ვირუსი აღარ აქვს სისხლში. დღევანდელი გადასახედიდან როგორ შეაფასებთ ამ პროგრამის მიმდინარეობას და თუ არის უკვე პირველადი სტატისტიკა, რამდენ ადამიანს გაუქრა ამ ეტაპზე ეს ვირუსი?

— უნდა აღინიშნოს, რომ „STOP C"-ს პროგრამის ფარგლებში ძირითადი დატვირთვა ავადმყოფების რაოდენობის მხრივ მოდის ინფექციური პათოლოგიის ცენტრის ჰეპატოლოგებზე და მინდა, რომ ჩემს კოლეგებს დიდი მადლობა გადავუხადო ასეთი თავდადებული შრომისთვის. არ შეიძლება, არ აღვნიშნო ჩვენი კლინიკის სამედიცინო დირექტორი მარინა ეზუგბაია, რომელიც ძალიან გვიადვილებს წამლების და ანალიზების რეგულაციას და ა.შ.

რაც შეეხება სტატისტიკას, იმ მონაცემებით, რაც ჩვენ გვაქვს, ანუ პროგრამაში მონაწილე პირველი ნაკადის ავადმყოფებში ვირუსი აღარ არსებობს. შესაძლებელია, ერთეული შემთხვევა იყოს, მაგრამ ჩვენ ამის შესახებ არ ვიცით. ამას მე ვაცხადებ ინფექციურ-პათოლოგიური ცენტრის სახელით. რაც შეეხება მეორე ნაკადს, ზუსტი მონაცემი ჯერჯერობით არ არსებობს, რადგან არ დამთავრებულა მათი მკურნალობა.

— ხომ არ გამოიწვია მკურნალობის კურსმა რაიმე სახის უკურეაქცია ავადმყოფებში და გამოვლინდა თუ არა რაიმე გვერდითი მოვლენები?

— ასეთი შემთხვევები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ ეს არის ერთეული და ამ პროცესს ძალიან კარგად მართავენ ხოლმე ჩვენი კლინიკის ჰეპატოლოგები. მომხდარა ისეც, რომ ორი-სამი ავადმყოფი კლინიკაში მოხვდა, მაგრამ 24 საათში უკეთ გახდა და გაეწერენ. ესენი იყვნენ ისეთი ავადმყოფები, რომლებსაც ჰქონდათ დეკომპენსირებული ციროზი. ასევე, რეაქციები აქვთ ხოლმე ინტერფერონზე. ისიც უნდა ითქვას, რომ ინტერფერონით მკურნალობა, რომელიც 12 კვირაში მთავრდება, არის ძალიან დიდი მიღწევა და 20%-ით უფრო მაღალი მაჩვენებელია გამოჯანმრთელების. თუმცა, არიან ავადმყოფებიც, რომლებსაც ინტეფერონს ვერ დაუნიშნავ.

საერთოდ, ამ პროგრამით ძალიან დიდი საქმე გაკეთდა და საზოგადოება მადლიერი უნდა იყოს ჩვენი მთავრობის, გნებავთ - ჩვენი მინისტრის, მაგრამ ვერც მთავრობა და ვერც მინისტრი ვერაფერს შეძლებდა, თუ არა მაღალი დონის ექიმები - ძირითადად ჩვენი კლინიკის ჰეპატოლოგები...

რა თქმა უნდა, სხვებიც არიან, მაგრამ ძირითადი დატვირთვა მაინც ჩვენს კლინიკაზე მოდის. ასევე, ეს პროგრამა ვერ განხორციელდებოდა, რომ არ ყოფილიყო გამოკვლევის თანამედროვე საშუალებები აპარატურული თვალსაზრისით.

აქვე აუცილებლად მინდა, ვთქვა პაციენტთა პასუხისმგებლობაზე - სამწუხაროდ, ავადმყოფების ნაწილს ვერ გაუცნოებიერებია, რა პროგრამაში მოხვდნენ და ხშირ შემთხვევაში აუცილებელ მონიტორინგს არ იტარებენ, ანუ ანალიზებს არ იღებენ ძალიან ელემენტარული მიზეზებით: ან ამბობენ, რომ არ შეუძლიათ და ვერ ჩამოვლენ, ან - არა აქვთ ამის თანხები. ეს იმდენად სასაცილო არგუმენტებია ამხელა პროგრამაში, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მიუთითებს თვითონ პიროვნების და გნებავთ, ქართველი კაცის უპასუხისმგებლობაზე. როდესაც ქვეყანა ასეთ რაღაცას გიკეთებს, როდესაც ექიმი ყოველდღიურად გირეკავს და გეუბნება - უნდა ჩამოხვიდე მონიტორინგისთვის და არა მარტო ექიმი - სადაც წამალს იღებენ, იქაც ეუბნებიან, რომ აუცილებელია ეს მონიტორინგი, ასეთი მოქცევა არის ძალიან დიდი დაუდევრობა და ასეთი დაუდევარი ხალხის არსებობის გამო შეიძლება, ის შედეგი ვერ მიიღოს სახელმწიფომ და ჩვენმა შრომამ, როგორიც გვინდა...

— საერთოდ, რამდენად რეალურად გეჩვენებათ ლოზუნგი " საქართველო C ჰეპატიტის გარეშე"?

— ეს ძალიან სადაო საკითხია, თუმცა, ერთი შემიძლია დანამდვილებით ვთქვა - ის ავადმყოფები, რომლებიც ამ პროგრამაში მიიღებენ მონაწილეობას, იქ ნამდვილად მოხდება ელიმინიაცია, ანუ ვირუსის მოკვლა სისხლში. მაგრამ ისევე, როგორც ჩვენ, ამ პროგრამის გარეშე არ ვიცით წითელას ეპიდემია როდის მოვა ან ყბაყურის ეპიდემია, შემდეგ რას იზამენ ჩვენი ქართველები და კიდევ ამ პროგრამის შემდეგ რამდენად იქნება ნარკომანია გავრცელებული, რამდენად ისევ დაუცველი სექსი ექნებათ და რამდენად მოუწესრიგებლები იქნებიან თავის ჰიგიენაში, ეს ძალიან ძნელი სათქმელია. სახელმწიფომ რაც შეძლო „STOP C"-ს პროგრამაში, ეს აუცილებლად შესრულდება.

— როგორც ცნობილია, ეს პროგრამა მოიცავს მხოლოდ C ჰეპატიტს, მაშინ როდესაც B ჰეპატიტი არანაკლებ მძიმე ვირუსია, მაგრამ პროგრამით არ არის გათვალისწიებული. საერთოდ, რა მდგომარეობაა ამ ვირუსების თვალსაზრისით საქართველოში?

— ჰეპატიტების ვირუსებიდან ყველაზე მძიმე არის D ჰეპატიტი, რომელიც B-ჰეპატიტთან ერთად არსებობს და საბედნიეროდ, მთელს მსოფლიოში და ჩვენთანაც დაავადებულთა დაბალი პროცენტია, მაგრამ ამ პროგრამაში ვერ ჩასვამენ იმიტომ, რომ სოფოსბუვირი მოქმედებს მარტო C ვირუსზე. მართალია A, B, C, D და I ჰეპატიტებს ერთი საერთო აქვთ - ღვიძლს აზიანებენ, მაგრამ ისინი თავისი მოქმედებით, ხასიათით და აღნაგობით სხვადასხვა არიან და ეს წამალი - რომელმაც გააძლიერა C ჰეპატიტის მკურნალობა, არ მოქმედებს B ვირუსზე. გარდა ამისა, C ვირუსი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოშია აქტუალური.

— ქალბატონო მარინა, მაინც რა არის მთავარი, რას ურჩევთ მკითხველს, როგორ დაიცვან თავი C ჰეპატიტისგან?

— C ჰეპატიტისაგან თავის დაცვა დაკავშირებულია ზემოაღნიშნულ პრობლემასთან - ანუ ნარკომანმა როგორ უნდა დაიცვას თავი. ის, რომ ნარკომანია არ უნდა იყოს, ეს არის პროფილაქტიკა. ის, რომ მაქსიმალურად არ შემოდიოდეს ნარკოტიკები - ეს არის პირველი პრევენცია. სამწუხაროა, რომ ადამიანი გამდიდრებისთვის სხვის შვილებს ამახინჯებს. ძალიან მიკვირს, რომ ქართველები ამას აკეთებენ, იმიტომ, რომ ქართველის ბუნებაში არ უნდა იყოს ეს. ასევე, აუცილებლად სტომატოლოგიური და ტატუირების კუთხითაც უნდა იყოს გათვალისწინებული ის ყველაფერი, რაც ზემოთ აღვნიშნე. ანუ, შეიძლება ითქვას, რომ C-ჰეპატიტის გარეშე საქართველო პირდაპირ პროპორციულადაა დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად მოწესრიგებული იქნება არა მხოლოდ ექიმი და სტომატოლოგი, არამედ ის მომსახურე პერსონალი, რომელიც არის ამა თუ იმ დაწესებულებაში.

— ქალატონო მარინა, ჩვენი საუბრის დასასრულს უნდა გაგახსენოთ წლების წინ თქვენი და ირინა აბჟანდაძის მოწყობილი ფოტოგამოფენა, რომელიც ერთგვარი აქციაც კი იყო C ჰეპატიტისა და სხვა ვირუსული დაავადებების წინააღმდეგ...

— დიახ, ეს იყო მგონი 2002 წელი, როდესაც გავიცანი ირინა აბჟანდაძე, რომელიც არა მხოლოდ ძალიან მაღალი დონის ფოტოგრაფია, არამედ არის ძალიან განათლებული და არაჩვეულებრივი პიროვნება. ის სრულიად შემთხვევით, როგორც ფოტოგრაფი ჟურნალისთვის ექიმის გადასაღებად მოვიდა ჩემთან და ჩვენი საუბრის შედეგად გადავწყვიტეთ გაგვეკეთებინა ფოტოგამოფენა, რომელსაც ერქვა „ნოტაბენე," რაც ნიშნავს "მიაქციეთ ყურადღება", განგაშია. სხვათაშორის, ფოტოებით გამოხატული იყო, თუ რა მდგომარეობაშია დაავადებული ღვიძლი ან სისხლდენის შემდგომი საყლაპავი... ქალბატონი ირინას დახმარებით, ეს იყო ერთგვარი აქცია ჩემი მხრიდან და მიმართული იყო შინაური წამლების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, იმ პერიოდისთვის ძალიან იყო მოდაში შინაური წამლებით მკურნალობა და ამ წამლების გამო, ბევრი ავადმყოფი კვდებოდა. დღესდღეობით ამის საშიშროება ნამდვილად არ არის და ვფიქრობ რომ იმ აქციის და სხვა მსგავსი აქციების და საინფორმაციო კამპანიების დამსახურებაა, რომ დღეს C ჰეპატიტით დაავადებულები უფრო გათვითცნობიერებულები არიან.

ნატო გუბელაძე

ვინ დათვალოს ტურისტები...

პირველ ნომერ ავტობუსში ხანშიშესული წყვილი ამოვიდა, ზურგჩანთებით. რადგან ორი თავისუფალი სკამი ერთად არ იყო, ცალ–ცალკე დასხდნენ და ერთმანეთს ხმამაღლა ესაუბრებოდნენ, ესპანურად. ქალბატონი ჩემს გვერდით იჯდა. ავდექი და მამაკაცს ვანიშნე, აქ დაბრძანდით მეთქი. მაშინვე გადმოვიდა, „მუჩას გრაციასო", გამიცინა. მერე თანამგზავრს უთხრა რაღაც ფრაზა, იმანაც, „სი, სი"-ო. ჩუმად ვიმეორებდი იმ ფრაზას –„ლოს ხეორხიანოს სონ მუჩა ბუენა ხენტე", მაინტერესებდა – რა თქვეს.

ქუთაისში უცხოელი ტურისტების სიმრავლე უკვე თვალშისაცემია. დადიან ჯგუფებად, წყვილებად, ცალ–ცალკე, რუკებით, გზამკვლევებით, გიდებთან ერთად ან მათ გარეშე.

თვალშისაცემია ისიც, თუ რამდენი ახალი სასტუმრო იხსნება ქალაქში– საშუალო და მცირე ტიპის, ე.წ. „გესტჰაუზები".

საზოგადოებრივი კვების ობიექტებშიც ხშირად ისმის უცხოენოვანი საუბრები.

ეს ყველაფერი კი მიანიშნებს იმაზე, რომ ქუთაისი და მისი შემოგარენი ნელ–ნელა იმკვიდრებს თავს მსოფლიო ტურისტულ რუკაზე.

ტურიზმის სფეროში არსებულ მდგომარეობაზე და მომავლის გეგმებზე გვესაუბრა ქუთაისის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი ქონების მართვის სამსახურის უფროსი, **პაატა კლდიაშვილი** :

_ ტურიზმის განვითრება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქალაქისთვის.

ერთი შეხედვითაც აშკარაა, თუ როგორ იმატა ტურისტების ნაკადმა. ამ მიმართულებით საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიებები განვახორციელეთ და დაგეგმილიც მრავლად გვაქვს. თითქმის არ გამომგვიტოვებია არცერთი სერიოზული საერთაშორისო გამოფენა თუ ბაზრობა, რომელიც ტურიზმის სფეროს ეხებოდა, თურქეთში, ისრაელში, ლატვიაში, უნგრეთში, ყაზახეთში, გერმანიაში, აზერბაიჯანში. ოქტომბერ-ნოემბერში მონაწილეობას მივიღებთ პოლონეთში, ვარშავაში დაგეგმილ საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში.

ამ გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობს ყველა მსხვილი ტურისტული სააგენტო, ტურ-ოპერატორები , ქალაქები, სასტუმროები...

აქ მონაწილეობა ჩვენთვის უფრო მეტად ეფექტური რომ იყოს და რაც შეიძლება მეტად დავაინტერესოთ ჩვენი ქვეყნით და ქალაქით პოტენციური ტურისტები, ამისათვის ვამზადებთ ბუკლეტებს, გზამკვლევებს, რუკებს, სტენდებს...

ძალიან მნიშვნელოვანია ინფო-ტურების ორგანიზება სხვადსხვა სამიზნე ჯგუფესითვის.

ჩვენ ერთი ასეთი ინფო-ტური მოვაწყვეთ უკრაინის ტურ-ოპერატორებისა და სასტუმროებისათვის. 15 კაციანი ჯგუფი იყო კიევიდან ჩამოსული, რომლებსაც ადგილობრივ ტურ-ოპერატორებთან ერთად, 3 დღის მანძილზე გავაცანით ჩვენი ტურისტული პოტენციალი. ეს ნაყოფიერი თანამშრომლობა გამოდგა, მინიმალური დანახარჯით მაქსიმალურ ეფექტს მივაღწიეთ.

აღნიშნულ ტურს მოჰყვა უკრაინის ტურიზმის განვითარების ცენტრის მიერ ჩვენი მიწვევა კიევში, სადაც გაცილებით ფართო აუდიტორიას გავაცანით ჩვენი ტურისტული პოტენციალი. უკრაინული მხარის ხელშეწყობითა და დაფინანსებით ჩვენ კიევის საერთაშორისო აეროპორტში გავხსენით ქუთაისელი ფოტოგრაფების ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მნახველს წარმოდგენას შეუქმნის ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობებსა და ხედებზე.

ამ დღეებში შევხვდებით ქალაქში მოქმედ ყველა ტურ-ოპერატორს, რათა ვიმსჯელოთ მომავალი წლის ტურისტულ გეგმებზე.

ტურისტების შემოდინების ზუსტი სტატისტიკა არსად არ ხდება. ჩვენ ვრიცხავთ მხოლოდ იმ ტურისტებს, ვინც ისარგებლა ჩვენი საინფორმაციო ცენტრებით.

მიმდინარე წლის 7 თვეში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს მიმართა 55: -ით მეტმა ადამიანმა, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. ხოლო შარშანდელ ივლისთან შედარებით ქალაქში 2-ჯერაა გაზრდილი ტურისტების რაოდენობა.

მეორე საკითხია, როგორ ტურისტულ ინფრასტრუქტურას ვახვედრებთ ჩვენ მათ. ჩვენი მთავარი პრიორიტეტები ტურიზმის სფეროში არის-მოვიზიდოთ რაც შეიძლება ბევრი ტურისტი და დავახვედროთ მათ საუკეთესო პირობები და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა. ამ მიზნით ტურისტული ობიეტქების სრული ინვენტარიზაცია და აღწერა გავაკეთეთ ქუთაისში-სასტუმროების, ტურისტული სააგენტოების, საზკვების ობიექტების, საზოგადოებრივი საპირფარეშოების. ჩვენ ვუზრუნველყავით , რომ ცენტრალურ ბაღში არსებული საზოგადოებრივი საპირფარეშო ცენტრალური ხელისუფლებისგან გადმოცემოდა ქალაქის ხელისუფლებას და დღეს ის უკვე მოქმედია, ანალოგიურად ქალაქის სხვადსხვა უბნებში არსებული საპირფარეშოებისა. თუმცა, ამ კუთხით დამატებითი ობიექტების გახსნაა აუცილებელი.

უკვე გამოცხადებული გვაქვს კონკურსი ქალაქის ტურისტული ლოგოსა და სლოგანის შესარჩევად. კონკურსი გვაქვს ფოტოსურათებზეც, რომლებიც მოხვდება საინფორმაციო ბუკლეტებში. ამ ბუკლეტებში თავმოყრილი იქნება ყველა ის ინფორმაცია, რაც ქუთაისში ჩამომსვლელი ტურისტებისთვის იქნება საჭირო და საინტერესო.

მზადების პროცესშია ქალაქის ტურისტული ვებ-გვერდი, რომლის მეშვეობითაც ჩვენი მხარით და ქალაქით დაინტერესებულ უცხოლებს საშუალება ექნებათ თავიანთ ქვეყნებშივე მიიღონ საჭირო ინფორმაცია ქუთაისზე.

ვემზადებით სერიოზული პროექტისთვის- მასშტაბური საინფორმაციო ცენტრის მშნებლობისთვის, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა ის სერვისი, რაც ტურისტებს სჭირდებათ- ტრანსპორტირება, გიდები, სუვენირები, დაბინავება...მუნიციპალური განვითრების ფონდთან დასკვნით ფაზაშია ამ საკითხზე მოლაპარაკებები და დიდი იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს ეს ცენტრი ექნება ქუთაისს.

–რა კარგი ხალხია ეს ქართველები!– აი, რა უთქვამს იმ ესპანელ ტურისტს.

ირმა მარდალეიშვილი

ქუთაისის ხელისუფალთა გასაგონად თქმული

რატომ დუმს ჰობოი?

ამ კაცზე ფილმის გადაღებაც კი შეიძლება - ფილმი დიდი სცენიდან მოულოდნელად დათხოვნილ ხანდაზმულ მუსიკოსზე, ღამღამობით ჩუმად რომ ტირის, გულზე ხელმიდებული.

ქუთაისში ბევრი იცნობს ოსია მუსიკოსს, იგივე წინწყაროს. მუსიკალურ წრეებში განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებენ მის ვირტუოზულ ჰობოის და "იობაშვილის ბგერას."

ეს დიდებული კახელი კაცი 46 წლის წინათ, ქუთაისის საოპერო თეატრის გახსნისთანავე , კულტურის სამინისტროს თხოვნით, გამოეშურა ჩვენი ქალაქისაკენ და მას შემდეგ აღარ ამოსულა საორკესტრო ორმოდან. დიმიტრი მჭედლიძისა და თეიმურაზ კობახიძის ხელდასხმული თეატრი მისთვის სამწლიანი კონტრაქტით მონიშნულ ზონად კი არა, სამუდამო ჭერად იქცა. თაობების სმენაში აღიბეჭდა ის განუმეორებელი სილამაზე, რითაც იწყებდა ფალიაშვილის უკვდავი "დაისის" შესავალს ოსია მუსიკოსის ჰობოი, ასევე საოცრად ჟღერდა ეს ჰობოი სხვა ოპერებში ("მინდია", "რიგოლეტო", "ტოსკა"...), სიმფონიური მუსიკის კონცერტებზე, კონსერვატორიისა თუ სამუსიკო სასწავლებლის სტუდენტურ აუდიტორიებში...

სანამ ქუთაისში გადმოვიდოდა, ოსიკო იობაშვილს უკვე შემოქმედებითი ნაბიჯები ჰქონდა გადადგმული, როგორც სამუსიკო, ასევე - დრამატულ სცენაზე. უმუშავია მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებში, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში, რადიოტელევიზიის საესტრადო ორკესტრში, მუსკომედიაში... მისი დიდი სამეგობროს ჩამოთვლაც რად ღირს: ჯერ კიდევ სამუსიკო ტექნიკუმში სწავლისას დაუახლოვდა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას. კონსერვატორიაში სწავლის წლებში სტუდენტ ზურაბ სოტკილავასთან ერთად გასტროლებით შემოიარა ქალაქები და რაიონები. მას გამორჩეული, ახლო მეგობრობაში გადასული ურთიერთობა ჰქონდა აკაკი კვანტალიანთან და ვასო გოძიაშვილთან. უამრავი ცხოვრებისეული ეპიზოდი აკავშირებს ისეთ დიდ ხელოვანებთან, როგორიც იყვნენ:აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, თამარ ჭავჭავაძე, სერგო ზაქარიაძე, გიორგი შავგულიძე, იაკობ ტრიპოლსკი, ალექსანდრე ომიაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, კარლო საკანდელიძე და სხვები.

ქუთაისის საზოგადოებას შეუმჩნეველი არ დარჩენია შესანიშნავი მუსიკოსის პიროვნული ხიბლი. ჩამოსვლისთანავე ოსია მუსიკოსი შეარქვეს სიყვარულით და ბაღისკიდელთა ახლო მეგობარიც გახდა. ილო ფოტოგრაფის გადაღებულ სურათებზე, დღეს რომ ოსიკო იობაშვილის არქივში დევს, ბიძინა ღოღობერიძის, ანტუშა საკანდელიძის, ოთარ სულაბერიძის, მუსიკოსების, მხატვრების, მსახიობების გვერდით ნახავთ: შაკია გერაძეს, ხუხას, მარკოზიჩს, პეყოს, ჯონსონას, როლერასა და სხვა საინტერესო ადამიანებს. "ქუთაისში ჩემი პირველი გასტროლი ჟორა შავგულიძის დროს იყო. ჟორას ბიჭი, ნუკრი, და მე ვმეგობრობდით. და ეს ჩემი პირველი, "ისტორიული" ჩამოსვლა ასე აღნიშნა: თეთრ ხიდთან, "გადაკიდებულში", დაგვპატიჟა ჟორამ მისი ბიჭი და მე. და პირველი ჭიქა, ქუთაისის სადღეგრძელო, "გადაკიდებულში" დავლიე, ჟორა შავგულიძესთან ერთად." - იხსენებდა წლების წინ ოსიკო იობაშვილი ჩემთან ინტერვიუში.

ბაღისკიდელებმა, მისმა თაობელებმა, შესანიშნავი ხმის პატრონსა და შემსრულებელს,კიდევ ერთი მეტსახელი - "წინწყარო" დაარქვეს. საოცრად მღეროდა ამ ურთულეს კახურ სიმღერას ქუთაისში ოსიკო იობაშვილი, რომლისთვისაც თურმე თვით ანზორ ერქომაიშვილს უთქვამს: შენს შემდეგ ქუთაისში "წინწყარო" არავის ამღეროო. სხვათა შორის, ჰამლეტ გონაშვილთანაც დიდი მეგობრობა აკავშირებდა, "შვიდკაცაშიც" ნამღერი აქვს და ტრიოშიც. ასე რომ უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიის კაცი ცხოვრობს ქუთაისში.

...გუშინწინ შინ ვეწვიე, წიგნისათვის ფოტოები მჭირდებოდა.ძალიან გაუხარდა ჩემი სტუმრობა, ცოტა სევდიანი და გულჩათხრობილიც მეჩვენა. სანამ თავის არქივს გამოალაგებდა, მისმა მეუღლემ, სათნო ქალბატონმა მაყვალამ ჩუმად ამიხსნა მიზეზი: -ერთი წელია,ასე იტანჯება. ტირის ხოლმე... ვერა და ვერ შეეჩვია სიმფონიური ორკესტრიდან დათხოვნას, მუსიკის გარეშე ცხოვრებას. - როგორ თუ დაითხოვეს?ვინ, ოსიკო იობაშვილის ჰობოი გამოუშვეს? - ყურებს არ დავუჯერე. -დიახ, გამოუშვეს, მაგრამ ეს დირექციის ბრალი არ იყო, კანონი ყოფილა ასეთი...

და ქალბატონმა მაყვალამ მორიდებით მიამბო: ოსიკო დააჯარიმეს, რაკი თან ორკესტრში მუშაობდა, თან პენსიას იღებდაო. თურმე სამსახურიდან დაითხოვეს, ხელფასის სახით აღებული თანხა კი პენსიიდან ექვითება და ასე ნელ-ნელა გაასწორებს იმ "საშინელ ფინანსურ დანაშაულს", რაც 57 წლის სტაჟის მქონე ხელოვანს თურმე სახელმწიფოს წინაშე მიუძღვის...

...იობაშვილების სახლიდან რომ მოვდიოდი, ოსია მუსიკოსის სიტყვები მთელი გზა ჩამესმოდა ყურში:"კი, ასაკიც მაქვს, მაგრამ თვითგამოხატვა მუსიკაში ჯერ კიდევ შემეძლო."

მოვდიოდი და მეც ტირილი მინდოდა.

ნანული ცხვედიანი

პროცესი ჭიანურდება – ხალხის პროტესტით დაღლას ელოდებიან?!

გონიოს ციხესთან და ზღვისპირა ზოლში მდებარე სადაო მიწების საკითხი, რომლის დაბრუნებასაც მოსახლეობა უკვე რამდენიმე წელია ითხოვს, ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ფონდ "ღია საზოგადოება _ საქართველოს" პროექტის _ "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში" _ ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სხვა ფაქტებთან ერთად, გონიოს დაზარალებული მოსახლეობის პრობლემაც შეისწავლეს.

ანგარიშში, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში მომზადდა, აღნიშნულია, რომ "გონიოში, როგორც საკუთრების უფლების მოწმობის გაცემის, ასევე მისი გაუქმების მომენტში არაერთ კანონდარღვევას ჰქონდა ადგილი".

რამდენიმე უწყებაში "დაკარგულმა" საქმემ, დღემდე, მთავრობის ეკონომიკურ საბჭომდე ვერ მიაღწია. მოსახლეობა კი აცხადებს, რომ პროცესი ხელოვნურად ჭიანურდება და თუ საკითხი უახლოეს მომავალში არ გადაწყდება, საპროტესტო აქციებს დაიწყებენ.

სადაო მიწების ნაწილს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს, ნაწილზე კი, ხელისუფლება ტურისტული ინფრასტრუქტურის განთავსებას გეგმავს.



პრეისტორია

გონიოში მიწების ჩამორთმევა აჭარაში ერთ-ერთ პოლიტიკურ საკითხად ჯერ კიდევ ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში იქცა. ამ პერიოდში რეგიონში მიწის რეფორმა არ ჩატარდა და რეგიონის მოსახლეობამ საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით ვერ ისარგებლა, რომ მიწა საკუთრებაში მიეღო.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლება მოსახლეობას შეპირდა, რომ მიწის რეფორმას დაასრულებდა. საქართველოს პარლამენტმა ამასთან დაკავშირებით სპეციალური კანონიც მიიღო, რომლის საფუძველზეც, 2006 წლის ბოლომდე აჭარაში, კერძოდ, ხელვაჩაურსა და ქობულეთის რაიონებში მიწის რეფორმა უნდა დასრულებულიყო. აჭარის მთავრობაში კი შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირი, ლევან ვარშალომიძე თავმჯდომარეობდა. კომისიამ საკადასტრო რუკები შექმნა, დაადგინა ზღვრული ნორმები და განისაზღვრა სარეფორმო ფონდი. საჭირო იყო მხოლოდ ხელმოწერა, რომლითაც კონკრეტულ პირს მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემოდა. ეს კი არ გაკეთდა, რისი ოფიციალური მიზეზიც დღემდე უცნობია.

2007 წლის დასაწყისში, ხელვაჩაურის რაიონის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება ტურისტულ ზონებში შეესწავლა იმ პირების საკუთრების უფლება, რომლებმაც გამონაკლისის სახით ასლან აბაშიძის მმართველობის დროს მიწის რეფორმით მიიღეს საკუთრება. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, გონიოსა და მახინჯაურის თემებში ასობით გლეხს საკუთრება ჩამოერთვა. კომისიის სხდომა 40 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა. გონიოელებს საკუთრების უფლება ისე ჩამოართვეს, რომ არც ერთი მათგანი სხდომის გამართვის თაობაზე ინფორმირებული არ ყოფილა.

ამავე წლის შემოდგომაზე, საქართველოში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა - რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა. არჩევნების წინ კი, პრეზიდენტის 2007 წლის 25 სექტემბრის #525-ე ბრძანებულება ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც, კერძო თუ იურიდიულ პირებს საკუთრებაში გადაეცემოდათ კანონიერ მფლობელობაში არსებული ან თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები. ამ წესით აჭარაში ათასობით ოჯახმა ისარგებლა, მათ შორის, გონიოს მოსახლეობამაც.

საპრეზიდენტო არჩევნების წინ, 2007 წლის 13 დეკემბერს, გონიოს ყოფილი საბჭოთა მეურნეობის დასახლებაში, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე პირადად მივიდა და საზეიმო ვითარებაში გადასცა კიდეც მიწის საკუთრების უფლების მოწმობა. მან მოსახლეობას უთხრა, რომ ეს პრეზიდენტის საჩუქარი იყო. გონიოს მოსახლეობა დღესაც ფიქრობს, რომ ეს "საჩუქარი" არჩევნებში ხმების მიღების სანაცვლოდ მიიღეს.

არჩევნებიდან ორი წლის შემდეგ, ვითარება კიდევ ერთხელ შეიცვალა _ ხელვაჩაურის რაიონის სოფელი გონიო ქალაქ ბათუმის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოექცა. მანამდე ჯერ ასამდე ოჯახს, შემდეგ კი, 2010 წლის 9 ნოემბერს, ხელვაჩაურის საკრებულოს საკუთრების აღიარების კომისიამ 271 ოჯახს ერთდროულად ჩამოართვა მიწაზე საკუთრების უფლება.

მას შემდეგ გონიოელებსა და სახელმწიფოს შორის დავები სასამართლო ინსტანციებში გაგრძელდა, რომელიც ფაქტობრივად იდენტური შედეგით დასრულდა - გონიოელებმა მიწაზე საკუთრების უფლება დაკარგეს.

არსებული ვითარება

2014 წლის 1 სექტემბერს, რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ, გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე სადავო მიწების შემსწავლელმა შერეულმა სამთავრობო კომისიამ განმცხადებლები კატეგორიებად დაყო. განისაზღვრა, რომელი მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, რა რაოდენობის ფართს განკარგავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, რომელი ნაკვეთია არქეოლოგიური დაცვის ზონაში, ასევე, რომელია კერძო საკუთრება და ვის გაუუქმა წინა ხელისუფლებამ მათ მიერვე გაცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება.

კომისიის თავმჯდომარე დავით გაბაიძე მაშინ აცხადებდა, რომ, დიდი ალბათობით, მიწები ადგილობრივებს კერძო საკუთრებაში გადაეცემოდათ.

დასკვნა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ბათუმის საკრებულოს მიწის საკუთრების აღიარების კომისიას გადაეგზავნა, რომელსაც თითოეული დაზარალებულის განაცხადი ინდივიდუალურად უნდა შეესწავლა. კომისიამ 2014 წლის 17 ნოემბერს ადმინისტრაციული საქმისწარმოება დაიწყო, თუმცა ამ დრომდე არცერთი განაცხადი შესწავლილი არ არის.

გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე მიწის დაკანონების მოთხოვნით ბათუმის საკრებულოში სულ 476 განაცხადია შესული. აქედან 271 ოჯახია ისეთი, რომლებსაც საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჯერ დაუკანონა და შემდეგ გაუუქმა საკუთრების უფლება, დანარჩენებმა კი მიწის საკუთრებაზე პრეტენზიით კომისიას მოგვიანებით მიმართეს.

ერთ-ერთი დაზარალებული **ენვერ ირემაძე** ამბობს, რომ მან მიწის აღიარების კომისიას განცხადებით მაისში მიმართა, თუმცა ამ დრომდე პასუხი არ მიუღია.

"მაისში მივმართე განცხადებით საკრებულოს, წარვუდგინე ჩემს ხელთ არსებული ყველა საბუთი და ვთხოვე, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას პირველად ჩემი საქმე განეხილათ, თუმცა, პასუხი არ მომსვლია. მეორედ მიმართვის შემდეგ მომცეს ცნობა, რომ ჩემი განცხადება ჯერ განხილული არ იყო. საკრებულოს სხვა დაზარალებულმა პირებმაც მიმართეს. მათი მიმართვიდან ერთთვიანი ვადა გასული არ არის.

ამის შემდეგ, მივმართე სასამართლოს, რომ დაევალდებულებინა საკრებულო ჩემი საკითხი განეხილა. სარჩელი სასამართლოში 8 აგვისტოს შევიტანე. 10 სექტემბერს განხილვის ვადა ინურება. თუ პასუხს ახლაც ვერ მივიღებთ, შეაძლოა, მშვიდობიანი აქციები ისევ დავიწყოთ. მთავარია, სასამართლო ჩატარდეს და საკითხი განიხილოს, მე არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც მიწა დამიბრუნონ", _ ამბობს ირემაძე და დასძენს, რომ ცოტა ხნის წინ, 150 პირის მიერ ხელმოწერილი განცხადებები პრემიერ ღარიბაშვილს და სახალხო დამცველსაც გადაუგზავნეს.

ირემაძე ამბობს, რომ მისი ვარაუდით, ძველი ხელისუფლებიდან დარჩენილი პირები არ აძლევენ კომისიას საშუალებას საკითხი ინდივიდუალურად განიხილოს:

"არ აწყობთ, რომ მიწა მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს დაუბრუნდეთ. დანარჩენები არიან ძველი "მაფიოზები", ყოფილი თანამდებობის პირები, ასლან აბაშიძის მომხრეები, "ნაციონალური მოძრაობის" მხარდამჭერები და ა.შ. ესენი ამბობენ, რომ ყველას ერთად უნდა დაუბრუნდეთ საკუთრება და ინდივიდუალური განხილვა არ უნდა მოხდეს. ზოგიერთ საქმეზე ხუთი მოწმობაა გაცემული, რაც კითხვის ნიშნებს აჩენს, ამიტომ ვითხოვთ ინდივიდუალურ განხილვას. თუ არ მეკუთვნის, ნუ მომცემენ, ოღონდ განიხილონ. იქ არის გარკვეული ნაწილი მიწის ნაკვეთებისა, რომლის ფასიც უფრო მაღალია და უნდათ ხელში ჩაიგდონ და ფული აკეთონ. ასეთი დაახლოებით 15 ჰექტარია", _ ამბობს ირემაძე.

იმის გასარკვევად, თუ რატომ ვერ მოახერხა ერთი წლის განმავლობაში ბათუმის საკრებულოს მიწის აღიარების კომისიამ საქმეების განხილვა, კომისიის თავმჯდომარე ლევან კინწურაშვილთან დაკავშირებას რამდენიმე დღის განმავლობაში ვცდილობდით, თუმცა მან ჩვენს სატელეფონო ზარებსა და შეტყობინებებს არ უპასუხა.

კომისიის იურისტი ბაკურ ბოლქვაძე კი აცხადებს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას არ ფლობს:

"იცნებ, ბატონ ლევან კინწურაშვილს დაუკავშირდეთ, მაგ საკითხზე მე ინფორმაციას არ ვფლობ", _ განაცხადა ბოლქვაძემ.

გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული სადავო მიწების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის წევრი, **უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე** ამბობს, რომ პროცესის გაჭიანურება გარკვეულ ეჭვებს და კითხვის ნიშნებს აჩენს:

"შარშან სექტემბერში, სამთავრობო კომისიამ დასკვნა ბათუმის საკრებულოს მიწის აღიარების კომისიას გადასცა, რის შემდეგაც საქმის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ განიხილონ მოქალაქეების განცხადებები, თუმცა პროცესი ძალიან ჭიანურდება. მთავრობა ამბობს, რომ მოსახლეობამ არ მიიღო მათი შემოთავაზებული წინადადება, რაც თითო ოჯახისთვის 500 კვმ-ის ფართობის მიწის გადაცემას ითვალისწინებდა, ოღონდ არა იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს ხალხი ფლობს მიწებს, არამედ სხვაგან. ეს წინადადება ჯერ კიდევ 2014 წლის ზამთარში მიიღეს, რაც მოსახლეობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მას შემდეგ ჰპირდებიან მოსახლეობას, რომ ამ საკითხს მთავრობის ეკონომიკურ საბჭოში განიხილავენ, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს, თუმცა, ჯერჯერობით, საკითხი არც საბჭოში განუხილავთ. ამ პროცესებიდან ჩანს, რომ პოლიტიკური ნება არსებობს, მაგრამ არა საკითხის მოგვარების", _ ამბობს ბაკურიძე.

რაც შეეხება მიწის აღიარების კომისიის წევრების მოსახლეობასთან კონტაქტს, ბაკურიძე ამბობს, რომ კომისიის ხელმძღვანელი ლევან კინწურაშვილი ამ დროის განმავლობაში დაზარალებულებს მხოლოდ ერთხელ შეხვდა:

"ძალიან რთულია მაგ პიროვნებასთან დაკავშირება. მხოლოდ ერთხელ შეხვდა მოსახლეობას, როცა მათ ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვა დააპირეს. თუმცა შეხვედრას აზრი არც აქვს, რადგან საკითხი თბილისში წყდება და არა ბათუმში. აქ, უბრალოდ, მიზეზებს ეძებენ, რომ როგორმე გააჭიანურონ პროცესი. ვფიქრობ, ხელისუფლებისთვის ეს ტერიტორიები ძალიან ძვირფასია; ამიტომ, გადაწყვეტილი აქვთ, რომ გაყიდონ ან ინვესტიციები ჩაადებინონ უცხოელებს. გლეხებს კი, 500-500 კვმ. სადღაც დაკარგულში გადაუგდონ. ამიტომ ჭიანურდება ეს პროცესი, ხალხის პროტესტით დაღლას ელოდებიან", _ ამბობს ბაკურიძე.

მთავრობის ეკონომიკურ საბჭოში კი აღნიშნავენ, რომ უახლოეს მომავალში გონიოს მიწების საკითხი აუცილებლად განიხილება.

"სექტემბერში, სხდომების განახლების შემდეგ, აუცილებლად განვიხილავთ ამ საკითხს. ჯერჯერობით რაიმე შეხვედრა ამასთან დაკავშირებით არ ყოფილა", _ აღნიშნავენ ეკონომიკურ საბჭოში.

დაუბრუნდება თუ არა გონიოს მოსახლეობას კერძო საკუთრებაში რამდენჯერმე გადაცემული და შემდეგ წართმეული მიწები, კვლავ გაურკვეველია. საქმე არც სტრასბურგის სასამართლოს განუხილავს, სადაც სარჩელი უკვე სამ წელზე მეტია წარმოებაშია მიღებული.

მასალა მომზადებულია პროექტის _ "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში" _ ფარგლებში.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი "ღია საზოგადოება _ საქართველო".
პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის შეხედულებებს.

Transparency International Georgia
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო
GYLA
მწვანე ალტერნატივა
GRMA
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

თეორიულად შესაძლებელია, პრაქტიკულად განხორციელება – ძალიან რთული

ქონება, რომელიც სახელმწიფომ "იჩუქა", კანონიერ მფლობელებს ჯერ ვერ დაუბრუნდება

2004-2012 წლებში, საქართველოს მოქალაქეებისთვის ქვეყნის ტერიტორიაზე ჩამორთმეული, იძულებით დათმობილი და სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების საკითხი კვლავ გაურკვეველია. ამ წლებში ქონების იძულებით დათმობის, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის და ჩუქების ასეულობით ფაქტია გამოვლენილი.

2011 წელს ფონდის "ღია საზოგადოება _ საქართველო" ინიციატივით დაიწყო პროექტი "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში". პროექტს ოთხი არასამთავრობო ორგანიზაცია: "საერთაშორისო გამჭვირვალობა _ საქართველო", "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "მწვანე ალტერნატივა" და "საქართველოს რეგიონალური მედიის ასოციაცია" ახორციელებდა. მიზანი კი, საქართველოს კანონმდებლობით, კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა; ასევე, საკუთრების ხელყოფის საფრთხეების შემცირება და უკვე დაზარალებული მოსახლეობისათვის უფასო სამართლებრივი დახმარების გაწევა იყო. პროექტის მონაწილე ორგანიზაციებში აღნიშნავენ, რომ მიუხედავად არაერთი მიმართვისა, მათთვისაც გაურკვეველია, საბოლოოდ მოხდება თუ არა დაზარალებული მოსახლეობის უზრუნველყოფა და როდის გამოიძიებს პროკურატურა დაზარალებულთა საქმეებს.

"უკანონო, დაუსაბუთებელი და უსამართლო გადაწყვეტილებათა შედეგების აღმოფხვრა და ათასობით უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილის დარღვეული უფლებების აღსადგენად მათი საქმეების გონივრულ ვადებში გადასინჯვა", _ ეს არის ამონარიდი "ქართული ოცნების" 2012 წლის 1 ოქტომბრის წინაასარჩევნო პროგრამიდან.

"ქართულ ოცნებას" ამომრჩეველმა მხარი ამ დანაპირებისთვისაც მისცა, თუმცა, სამართლიანობის აღდგენის პროცესი გაურკვეველი ვადით მალევე გადაიდო _ მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა, რომელზეც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობდნენ, მალევე გადაიფიქრეს; მიზეზად კი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენები დასახელდა, რომელთა გადასინჯვასაც ქვეყნის სასამართლო სისტემა ვერ შეძლებდა; ასევე ისიც, რომ სახელმწიფო არ იყო მზად მოსალოდნელი ფინანსური კომპენსაციების გასაცემად.

მოგვიანებით, საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავარ პროკურატურაში ახალი დეპარტამენტის შექმნისას განაცხადა, რომ მთავრობა 2015 წლის თებერვლის ბოლომდე წარადგენდა "კონკრეტულ გეგმას იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდება სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყება და დასრულება".

რამდენი საქმე გახსნა დეპარტამენტმა

ამ რამდენიმე თვის განმავლობაში მთავარ პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა 20-მდე საქმე გახსნა და დაზარალებული მოსახლეობის ნაწილს ქონებაც დაუბრუნა.

ერთ-ერთი ბოლო საქმე პროკურატურამ 2015 წლის 21 ივლისს გახსნა და ხუთ დაზარალებულს ჩამორთმეული ქონება დაუბრუნა, მანამდე კი, უწყებამ მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის ხუთი ფაქტი 13 ივლისს გახსნა და შსს-სა და პროკურატურის 3 ყოფილი მაღალი თანამდებობის პირი ამხილა. უკანონოდ ჩამორთმეული ქონება კი მეპატრონეებს დაუბრუნდათ.

გარდა ამისა, პროკურატურის ახალმა დეპარტამენტმა იძულებით ჩამორთმეული ქონების 5 ფაქტი ივნისშიც გახსნა. რამდენიმე დღით ადრე კი, პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მთავრობა უნდა გააქტიურდეს სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით და იქვე დააანონსა ჩამორთმეული ქონების დაბრუნების პროცესის დაწყება.

რაც შეეხება ბოლო შემთხვევას, 2015 წლის 29 ივლისს კი, თბილისის მთავრობის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოქალაქე ირაკლი მახარაშვილს 2010 წელს ჩამორთმეული მიწის ნაკვეთი დაუბრუნდება. როგორც სხდომაზე თბილისის ვიცე-მერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, საკითხზე თბილისის მერიას ეკონომიკის სამინისტროდან და გენერალური პროკურატურიდან მიმართეს.

ირაკლი მახარაშვილი საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2010 წელს დააკავა და პროკურატურის წარმომადგენლებმა, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, არაოფიციალურად მოსთხოვეს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა. მახარაშვილმა თავისუფლების სანაცვლოდ სოფელ დიღომში მდებარე 1020 კვ.მ მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ვინაიდან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი დოკუმენტებით დასტურდება ირაკლი მახარაშვილის მიერ აღნიშნული მიწის ნაკვეთის შეძენისა და საკუთრებაში კანონიერი ფლობის ფაქტი, ასევე საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე ერთი დღით ადრე ირაკლი მახარაშვილის მიერ მიწის უსასყიდლოდ მიტოვების ფაქტი, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიწის ნაკვეთი მის კანონიერ მფლობელს უკან უბრუნდება.

როგორც **"საერთაშორისო გამჭვირვალობა _ საქართველოს" პროექტის მენეჯერი გია გვილავა** ამბობს, "მთავარი პროკურატურის მიერ რამდენიმე საქმეზე საჯაროდ გაკეთებული განცხადება ძალიან ცოტაა, რადგან პრობლემა რეალურად გაცილებით დიდია":

"ძალიან ბევრი სხვადასხვა ტიპის უძრავ-მოძრავი ქონება და წილები, ასევე, მოთხოვნის უფლებები უსასყიდლოდ იყო სახელმწიფოსთვის გადაცემული, რომლის საერთო ღირებულება 100 მილიონ ლარზე და ათეულობით მილიონ დოლარზე მეტია. ეს არის ამ ქონების ოფიციალური საბაზრო ღირებულება. მაგრამ რეალურად შესაძლებელია, გაცილებით მეტი თანხა ყოფილიყო.

არის შემთხვევები, როდესაც ერთი ფიზიკური პირი გადასცემს სახელმწიფოს 12-15 მიწის ნაკვეთს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უსასყიდლოდ. გვაქვს შემთხვევები, როდესაც ასეულობით ავტომობილია სახელმწიფოსთვის გადაცემული ასევე უსასყიდლოდ.

სანამ მთავარ პროკურატურაში ახალი დეპარტამენტი შეიქმნებოდა, აქტიური კომუნიკაცია გვქონდა პროკურატურასთან. მაშინ ოფიციალური განცხადება იყო ის, რომ მიდიოდა საქმეების გამოძიება, თუმცა საქმეების სიმრავლიდან გამომდინარე, ის დროში გაჭიანურდებოდა. ახალ დეპარტამენტსაც დახლოებით ივივე პასუხი აქვს, რადგან ძალიან ბევრი საქმეა მათ წინაშე. როდის მიენიჭება ამ საქმეებს პრიორიტეტი ან როდის მოუწევს გამოძიება, არ ვიცით", _ აღნიშნავს გვილავა.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა _ საქართველო" აქამდეც მიიჩნევდა, რომ პროკურატურის ახალმა დეპარტამენტმა საქმეთა შერჩევის კრიტერიუმები უფრო უნდა დააკონკრეტოს _ ამ დრომდე არ არის ცნობილი, რომელ საქმეებს და რა კრიტერიუმით ანიჭებს უპირატესობას მთავარი პროკურატურა, ან რა დროშია შესაძლებელი, დასრულდეს ჩამორთმეული, დათმობილი და სახელმწიფოს სასარგებლოდ მიტოვებული ქონებების გამოძიების საკითხი.

ჩუქება-მიტოვების სტატისტიკა

ორგანიზაცია "ახალგაზრდა ადვოკატების" ინფორმაციით, "2004-2012 წლებში, მოქალაქეებმა სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, 5 634 ქონება დათმეს". კერძოდ, ორგანიზაციის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, 2004-2012 წლებში, სახელმწიფოს უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით გადაეცა 369 ერთეული ქონება, მიტოვების გზით და სხვა სამართლებრივი ფორმით კი _ 1941. საერთო ჯამში, სახელმწიფომ მიიღო 2310 ქონების განკარგვის უფლება. ამასთან, შესწავლილი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ 2004-2012 წლებში, სახელმწიფოს სასარგებლოდ მოქალაქეებმა წილები/აქციები დათმეს 150-ჯერ, ხოლო სახელმწიფო გახდა 864 ავტომობილის მფლობელი. მთლიანობაში, სახელმწიფომ 2004-2012 წლებში, მოქალაქეებისგან 5634 ქონება მიიღო.

"ახალგაზრდა ადვოკატების" მიერ შესწავლილი ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მასშტაბით, სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩუქების ხელშეკრულებით გადაცემული ან/და მიტოვებული ქონების სიმრავლე გვხვდება შემდეგ მუნიციპალიტეტებში: გარდაბანი _ 477, აბაშა _ 116, ბათუმი _ 97, ჩოხატაური _ 84, ხელვაჩაური _ 76, მცხეთა _ 65, ხონი _ 48, ხოლო საკუთრივ თბილისში, 2004-2012 წლებში, დაფიქსირებულია ქონების დათმობის 589 შემთხვევა. ორგანიზაციამ შეისწავლა 2000-2003 წლებში არსებული მდგომარეობაც, სადაც სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების დათმობის მხოლოდ 1 შემთხვევა ფიქსირდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით, 2012-დან 2015 წლის პირველ იანვრამდე პროკურატურაში 52 530 საჩივარი და განცხადება შევიდა. აქედან, ჯერჯერობით იძულებთ დათმობილი ქონება მხოლოდ 9 პირს დაუბრუნდა.

2015 წლის 4 მარტს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ სახელმწიფო ქონების უკანონოდ ჩამორთმევის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს გადახდის სხვადასხვა ალტერნატივას შესთავაზებს. მინისტრმა იქვე განმარტა, რომ შესაბამისი თანხა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფონდში ირიცხება.

თუმცა, მთავარ პროკურატურაში ვერ აკონკრეტებენ, მოქალაქეთა ანაზღაურების საკითხი აღსრულების ფონდიდან გახორციელდა თუ არა.

კითხვაზე - რეალურად რამდენად არის შესაძლებელი, დაზარალებულ პირებს ზიანი აუნაზღაუროს სახელმწიფომ? "საერთაშორისო გამჭვირვალობა _ საქართველოს" პროექტის მენეჯერი გია გვილავა გვპასუხობს, რომ "ამაზე საუბარი ახლა ძალიან რთულია": *"ჩვენ ჯერ ის პრობლემა გვაქვს, რომ რეალურად არ ვიცით რამდენ ადამიანს აქვს ეს პრობლემა. ეს არავის დაუთვლია. შესაბამისად, არ ვიცით, რა თანხაზეა საუბარი. ის, რაც ჩამოერთვათ, გასაგებია, მაგრამ მარტო უძრავი ქონებაც არ არის პრობლემა. თუ დადასტურდა სახელმწიფოს, პროკურატურის, სამართალდამცავების ჩარევა, მაშინ გამოდის, რომ ეს ზიანი უნდა აანაზღაუროს, თუმცა, არც ის არის ცნობილი, თუ დიდ თანხაზეა საუბარი, მაშინ რამდენად არის სახელმწიფო ამ ზიანის ანაზღაურებისთვის მზად. თეორიულად შესაძლებელია ამ პრობლემის მოგვარება, თუმცა, პრაქტიკულად, რამდენად გახორციელდება ეს ყველაფერი, ძალიან ძნელი სათქმელია"*, _ ამბობს გვილავა.

დაზარალებული მოსახლეობა 2012 წელს, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, განსაკუთრებით გააქტიურდა და საკუთარი ქონების უკან დაბრუნება მოითხოვა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეალურად, ძალიან მცირე ნაწილმა მოახერხა ზიანის კომპენსაციის მიღება.

ცოტა ხნის წინ თავიანთ საკუთრებაში არსებული ქონების უკან დაბრუნებას ითხოვდა გონიოში მცხოვრები 271 ოჯახიც, თუმცა მათი მოთხოვნა ამ დრომდე არ დაკმაყოფილებულა.

ანალოგიური მდგომარეობაა ანაკლიის, მესტიის, ხარაგაულის, საირმის ტერიტორიებზეც. დაზარალებული მოსახლეობა ამ დრომდე ცდილობს თავიანთ საკუთრებაში არსებული მიწის ნკვეთების დაბრუნებას, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა" და "საერთშორისო გამჭვირვალობა _ საქართველოში" აცხადებენ, რამდენიმე მათგანს, სარჩელი ევროპულ სასამართლოშიც აქვს გაგზავნილი და საქმე წარმოებაშია მიღებული, თუმცა, ხანგრძლივი და რთული პროცედურების გამო საქმეების განხილვას რამდენიმე წელია ელოდებიან.

კომიქსის ავტორი რუსუდან ხიზანიშვილი

მასალა მომზადებულია პროექტის _ "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში" _ ფარგლებში.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი "ღია საზოგადოება _ საქართველო".
პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის შეხედულებებს.

დაკანონებული იძულება – რა ცვლილებებს ითხოვს არასამთავრობო სექტორი კანონში

საქართველოში კერძო საკუთრება ინსტიტუციურად დაცული არ არის, რაც არასამთავრობო სექტორის შეფასებით, სერიოზული პრობლემაა.

კერძო საკუთრების უკანონო ექსპროპრიაციას, მოსახლეობის უკმაყოფილებას კომპენსაციის ოდენობით, 2004-12 წლებში მასობრივი ხასიათი ჰქონდა, თუმცა, დღესაც გვხვდება პრეცენდენტები (მაგალითად, ჩქაროსნული მაგისტრალის სუფსისა და შემოვლითი გზის არგვეთის მონაკვეთები).

გონიოს, წყნეთის, ანაკლიის, მესტიის, ბახმაროს, სხვა ტურისტულ და ინდუსტრიულ ზონებში, არასამთავრო ორგანიზაციების შეფასებით, მესაკუთრეების უფლებები მასობრივად დაირღვა, რასაც სხვა ფაქტორებთან ერთად, ხარვეზიანი კანონმდებლობით ხსნიან.

მსოფლიოში კი, ქონების იძულებით, მასობრივად და უკანონოდ ჩამორთმევის პრეცედენტები მხოლოდ არადემოკრატიულ, დიქტატორული მმართველობის ქვეყნებში არსებობს. მაღალი ხარისხის დემოკრატიის ქვეყნებში სახელმწიფო მესაკუთრეს ქონებაში საბაზრო ფასს სთავაზობს, ხოლო თუ ეს უკანასკნელი მაინც უარზეა, როგორც წესი, პროექტში ცვლილებები შედის.

ქართული კანონმდებლობა და კონკრეტულად "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის შესახებ" კანონი, მესაკუთრეზე ორიენტირებული არაა, რის გამოც, არასამთავრობო სექტორი მასში ცვლილებების აუცილებლობაზე საუბრობს და თავიანთი რეკომენდაციების შეთავაზებას იუსტიციის სამინისტროსთვის უახლოეს მომავალში აპირებს.

კერძოდ, რა ხარვეზებია კანონში და რას სთავაზობს არასამთავრობო სექტორი იუსტიციის სამინისტროს პრობლემის მოსაგვარებლად, ამ საკითხებზე "საერთაშორისო გამჭვირვალობა _ საქართველოს" პროექტის მენეჯერს, გია გვილავას ვესაუბრეთ.

მესტია | ფოტო: შალვა მეცხოვრიშვილი

_ კანონის უმთავრეს ხარვეზად რა მიგაჩნიათ?

_ უმთავრესი საკითხია კომპენსაციის გამოთვლა, რომ კანონში დაკონკრეტდეს თუ რა პროცედურით უნდა მიეცეს მესაკუთრეს ანაზღაურება. ამასთანავე, კანონის ძირითადი ხარვეზი ქონების შეფასებაშიც არის. როგორ უნდა შეფასდეს ქონება, ეს არსად წერია.

_ თუ გაქვთ სხვა ქვეყნების გამოცდილება შესწავლილი და რომელი ქვეყნის გამოცდილებით შეიძლება იხელმძღვანელოს საქართველომ?

_ ჩვენ შევისწავლეთ გერმანიის გამოცდილება, იქაური მაგალითები; საინტერესო შემთხვევებია, როდესაც მხოლოდ მესაკუთრის უფლებების დაცვა კი არ ხდებოდა, არამედ, იმ კომპანიის ან ფიზიკური პირის, რომელიც კონკრეტული მიწის ნაკვეთით სარგებლობს და იჯარით აქვს აღებული.

საქართველოში გვქონდა შემთხვევები, შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელებისას, როდესაც მიწის ნაკვეთი გაცემული იყო დიდხნიანი იჯარით და ამ მეიჯარეს ჰქონდა პატარა აგურის ქარხანა გაკეთებული. იყო ასევე აუზიც, სადაც თევზის მეურნეობა იყო გაშენებული. ექსპროპრიაციის გახორციელების შემდეგ კი, ამ მეიჯარეს კომპენსაცია არ მიუღია. მას გადაადგილება მოუხდა, რაც ძალიან დიდ ხარჯთან იყო დაკავშირებული _ ქარხანა გადაიტანა და აუზიც დააშრეს. ეს არის ისეთი საკითხები, რომელიც ჩვენს კანონმდებლობაში აბსოლუტურად იგნორირებულია.

ჩვენი რეკომენდაციაა, კანონი არა მხოლოდ მესაკუთრეზე, არამედ მოსარგებლეზეც იყოს ორიენტირებული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია _მესაკუთრის გარდა, კომპენსაცია ამ პირმაც უნდა მიიღოს.

რაც შეეხება ქონების შეფასებას, პროცესი გაურკვეველი და ბუნდოვანია: ზუსტად არ ვიცით, რა სტანდარტით ფასდება მომიჯნავე მიწის ნაკვეთები, რადგან ხშირად შევხვედრივართ შემთხვევებს, როდესაც გვერდიგვერდ განთავსებული ნაკვეთები სხვადასხვანაირადაა შეფასებული. რატომ? _ამას ვერავინ ამბობს.

აქედან გამომდინარე, მეთოდოლოგია საერთაშორისო სტანდარტებს და დასავლური, ევროპული ნებისმიერი სახელმწიფოს მაგალითებს უნდა ეყრდნობოდეს. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია გაითვალისწინოს მსოფლიო ბანკის და EBRD-ის ფინანსური ინსტიტუტების სახელმძღვანელო პრინციპები, რადგან მათაც მრავლად აქვთ ეს პროცედურები გაწერილი. შესაბამისად, შეგვიძლია ამ პროცედურების გადმოღება და ახლის შემუშავება არ გახდება საჭირო.

_ გარდა ამ ხარვეზებისა, კიდევ რა არის კანონში შესაცვლელი?

_ თვითონ ექსპროპრიაციის დაწყების პროცესიც საკმაოდ ბუნდოვანია. პირველ ეტაპზე, სასამართლოც არის ჩართული პროცესში, რაც არ მიგვაჩნია აუცილებლობად _ სასამართლო აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დავა და მოსახლეობა არ ეთანხმება იმას, რომ კონკრეტული პროექტი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებაა. ამ შემთხვევაში, დავა სასამართლოში უნდა წარიმართოს.

რაც შეეხება ექსპროპრიაციის დაწყებას, ეს უფლება მხოლოდ ეკონომიკის სამინისტრომ უნდა გასცეს. მაგალითად, გერმანიაში, ლანდების (მხარეების) მიხედვით, ერთ ორგანოს აქვს ექსკლუზიური უფლება გასცეს ექსპროპრიაციის ნებართვა. ამ პროცესს თავად ეს ორგანო უწევს ზედამხედველობას, თუ რამდენად შეასრულებს სხვადასხვა ორგანო, ან თუნდაც სახელმწიფო იმ მოთხოვნებს, რაც მათ დაუდგინეს. ეს ბევრად უფრო მოქნილი და ეფექტური მექანიზმი შეიძლება იყოს; მით უმეტეს, რომ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება არავის უქრება და ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია ადამიანს, სასამართლოს მიმართოს.

_საკმარისია პროცესში მხოლოდ ეკონომიკის სამინისტრო იყოს ჩართული?

_ ჩვენი აზრით, კარგი იქნება თუ სპეციალური უწყება ჩამოყალიბდება. ეს, შესაძლოა იყოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული უწყება, რომელიც ამ პროცესს წარმართავს და მეთვალყურეობასაც გაუწევს. ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობას პრობლემები ექმნება ეკონომიკის სამინისტროსთან დაკავშირების დროს, ისინი უწყებას ვერ უკავშირდებიან, მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის შემდეგ კი, აღმოჩნდება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ არის საქმის კურსში. მაგალითად, იგივე პრობლემა იყო აჭარის მაღალმთიან რეგიონებში, სადაც ჰესების მშენებლობას იწყებდნენ. მოსახლეობას ინფორმაცია არ ჰქონდა. იგივე პრობლემა იყო დასავლეთ საქართველოში შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, როდესაც მოსახლეობას არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა, ასევე, მესტიაში, გრიგოლეთში და ანაკლიაშიც. ეს პრობლემა რომ აღმოიფხვრას, უნდა იყოს სპეციალური უწყება ან დეპარტამენტი.

ამასთანავე, სავალდებულოდ ინფორმირების წესი უნდა დამკვიდრდეს, რადგან მოსახლეობამ წინასწარ იცოდეს რასთან აქვს საქმე და რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს კონკრეტულ აქტივობას. უმნიშვნელოვანესია, სავალდებულო წესით მოხდეს მოსახლეობის წინასწარი ინფორმირება. ეს წესი კანონში ახლა არ არის გაწერილი.

ექსპროპრიაცია იძულებაა, რაც საკუთრების უფლებას იძულებით ზღუდავს, მაგრამ რეალურად თუ მოლაპარაკების შესაძლებლობა არსებობს, ამ შემთხვევაში ექსპროპრიაციის აუცილებლობა საერთოდ არ დადგება. ამიტომ, ჩვენ მივიჩნევთ, რომ კანონი უნდა ავალებდეს კერძო პირს, ან სახელმწიფოს, რომ მოლაპარაკება აწარმოოს მესაკუთრესთან. ანუ მოლაპარაკება სავალდებულო უნდა იყოს. თუ შეთანხმება ვერ შედგება, მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში უნდა იწყებოდეს ექსპროპრიაციის პროცესი.

_ ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში დარღვა მესაკუთრის უფლებები?

_ ვერ ვიტყვით, რომ ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში კომპენსაციის გაცემისას მესაკუთრის უფლებები დარღვეული იყო, მაგრამ ძალიან ბევრ შემთხვევაში დაირღვა. უმეტესწილად, ქონების შეფასების და კომპენსაციის გაცემამ გამოიწვია უკმაყოფილება. ეს ის საკითხია, როდესაც მესაკუთრეს აქვს სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიიღოს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არაბუნებრივი მდგომარეობაა, ეს არის კანონის უკიდურესი გამონაკლისი და კანონი მაქსიმალურად ლოიალური და გამჭვირვალე უნდა იყოს. ლოიალური იმ კუთხით, რომ სხვადასხვა შესაძლებლობა მაქსიმალურად ბოლომდე უნდა ამოიწუროს. სამწუხაროდ, არ გვაქვს სტატისტიკური მონაცემები იმისა, რამდენ მესაკუთრეს დაათმობინეს ექსპროპრიაციის კანონის საფუძველზე საკუთრება. ჩვენ მხოლოდ გახმაურებულ საქმეებზე ვიცით რა მდგომარეობა იყო. ეს, ძირითადად, არის 2008-2011 წლების _ დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პერიოდი. მაშინ, ხარვეზიანი კანონის გამო, მესაკუთრეების უფლებების დარღვევების ფაქტები ხშირად გვხვდებოდა.

_რაც შეეხება კანონში სახელმწიფო გადაუდებელ საჭიროებად ქონების გამოცხადების პროცედურებს, არის თუ არა ამის კიდევ უფრო დაზუსტების აუცილებლობა?

_ მასში ჩამოთვლილია ის შემთხვევები, როდის შეიძლება ქონება ჩაითვალოს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებად და ეს არ არის ყველაზე დიდი პრობლემა. ამას აგვარებს კანონმდებლობა, რომელიც მინიმალურ მოთხოვნებს აწესებს. მეორე მხრივ კი, სასამართლოში იხვეწება ეს პრაქტიკა. აქ რაიმე განსაკუთრებული და სასწრაფო ცვლილების გახორციელების აუცილებლობას ვერ ვხედავთ.

_იცის თუ არა იუსტიციის სამინისტრომ ამ რეკომენდაციების შესახებ, ან თუ მუშაობს უწყება კანონში ცვლილების შესატანად?

_ ჯერჯერობით რაიმე შეხვედრა იუსტიციის სამინისტროსთან ან რაიმე სახის ცვლილებებზე საუბარი თავად სამინისტროს მხრიდან არ ყოფილა.

_ როდის მიმართავთ იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაციებით?

_ რეკომენდაციების დიდი ნაწილი დამუშავებული და შეჯერებულია ჩვენს ორგანიზაციაში, თუმცა რჩება რამდენიმე საკითხი, რომლებზეც ჯერ კიდევ არის აზრთა სხვადასხვაობა. ვფიქრობთ, ამ პროცედურებს მალე დავამთავრებთ და ჩვენს მოსაზრებებს კანონში ცვლილებებთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს, სავარაუდოდ, ოქტომბრისთვის გადავუგზავნით.

მასალა მომზადებულია პროექტის _ "საკუთრების უფლების დაცვის ხელშეწყობა ახალ ტურისტულ ზონებში" _ ფარგლებში.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი "ღია საზოგადოება _ საქართველო".
პუბლიკაციაში გამოქვეყნებული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის შეხედულებებს.

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: სერიოზულად დაფიქრდით საკუთარი შესაძლებლობის გამოყენებასა ან ბავშვის შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე.

კურო: სამყაროს ბავშვების ან მშობლის თვალებით შეხედავთ, შინაურების მიმართ გამოიჩინეთ პასუხისმგებლობა. მოგიწევთ ოჯახის უფროსი წევრებისათვის დახმარების გაწევა.

ტყუპები: მოგიწევთ ბავშვების საქციელის გაკონტროლება. პირად ცხოვრებაში მოიმატებს გრძნობები და რომანტიულობა.

კირჩხიბი: განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ მატერიალური სახსრების სამართლიან განაწილებას და კომუნალური გადასახადების გადახდას.

ლომი: ხელსაყრელი მომენტია სამსახურეობრივი ინსტრუქციის ან მოქმედი კანონმდებლობის შესწავლისთვის. ზოგიერთი შეზღუდვა განსაკუთრებით აქტუალური გახდება.

ქალწული: უფრო ჯანსაღად და რეალისტურად შეხედეთ სასიყვარულო საქმეებს, ბავშვებთან ურთიერთობას. ჩანაფიქრების რეალიზებისთვის დაგჭირდებათ განმარტოება.

სასწორი: მეგობრებთან, ბავშვებთან, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დადებითად აისახება თქვენზე, დაგეხმარებათ უფრო გახსნილად და უშუალოდ მოქცევაში. უარი არ თქვათ მეგობრულ წვეულებაზე.

ღრიანკალი: სასარგებლო იქნება კრეატიული აზროვნების და კანონმორჩილების შეთავსება, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით ძველი გეგმის შრომისუნარიანობაში.

მშვილდოსანი: თამამად იქონიეთ დადებული ხელშეკრულების იმედი, თუნდაც ის დოკუმენტებით გაუმყარებელი იყოს. საკმარისი იქნება სხვა ადამიანების მოცემული სიტყვა. ძველ თანამოაზრეებში ეჭვს ნუ შეიტანთ.

თხის რქა: უსაქმურად ნუ გაჩერდებით, რადგან გული არასაჭირო თავგადასავლისკენ გაგიწევთ. აღნიშნული საქმიანობა მოგიტანთ დიდ შინაგან კმაყოფილებას. შეძლებთ მიზანზე კონცენტრირებას.

მერწყული: გაძლიერდება საიმედო პარტნიორობის მოთხოვნილება. გვერდით იყოლიეთ ნამდვილად მოწესრიგებული და შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანები. .

თევზები: სწრაფად დარწმუნდებით, რომ იდეალური წესრიგი და შემოქმედებითი ფანტაზია სავსებით შეთავსებადია. თქვენთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება თანამშრომლებთან, ურთიერთობა.

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

6	4	9	7	3	2	1	8	5
7	5	2	6	1	8	3	4	9
3	1	8	4	5	9	2	7	6
8	3	5	2	6	1	4	9	7
9	7	6	8	4	3	5	2	1
4	2	1	5	9	7	8	6	3
1	8	3	9	2	6	7	5	4
2	6	4	3	7	5	9	1	8
5	9	7	1	8	4	6	3	2

ქუთაისში 332 კმ-იანი წყალმომარაგების ქსელი 2016 წლისთვის უნდა გამოიცვალოს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ქალაქ ქუთაისში წყალმომარაგების ქსელის მასშტაბური სამუშაოები დაიწყო. პროექტი სატუმბო სადგურების, რეზერვუარების და გამანაწილებელი ქსელის (332 კმ) მშენებლობას ითვალისწინებს.

სამშენებლო სამუშაოების მეორე ფაზა დღეს გაერთიანებული წყალმომარგების კომპანიის დირექტორმა, ნიკოლოზ ქიზიყურაშვილმა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა და ობიექტზე მიმდინარე სამუშაოებს პირადად გაეცნო.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, მრავალი წლის მანძილზე არსებული წყალმომარაგების პრობლემა მოგვარდება და ადგილობრივი მაცხოვრებლები 24 საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებენ. პროექტი, რომლის ღირებულება 86 მილიონ ლარზე მეტია, 2018 წელს დასრულდება. წყალმომარაგების სამუშაოებზე 200-მდე ადამიანი დასაქმდება.

პარალელურად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ქუთაისში, მასშტაბური პროექტის პირველ ეტაპს ახორციელებს.

წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის სამშენებლო სამუშაოებისათვის აზიის განვითარების ბანკმა 27 მილიონ ლარზე მეტი გამოყო. პროექტში, რომელიც 2016 წელს დასრულდება, 100-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული .

განცხადება

2015 წლის 23 ოქტომბერს, 12 საათზე, სს ეს-ემ-ქეიულუსლარარასი ინშაათ ვე თიჯარეთ-ის ფილიალის ოფისში (მის.: ქუთაისი, ა.სინაურის ქ.№1) გაიმართება ასფალტის ქარხნის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ასფალტის წარმოება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

სს ეს-ემ-ქეიულუსლარარასი ინშაათ ვე თიჯარეთ-ის ოფისში: ქ. ქუთაისი, ანდრია სინაურის ქ.№1, ტელ.: 599 06 06 47.

შპს „სამნი"-ს ოფისში:

ქუთაისი, გ.ტაბიძის 28; ტელ.: **591 157 272.**

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 16 ოქტომბერი.

ვაკანსია

კარძო დაწყებითი სკოლა „ღონე ქვეყნისა" აცხადებს ვაკანსიას

პოზიცია:
ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი

სწავლების საფეხური: **დაწყებითი**

მოთხოვნები:
- **საგნის გამოცდის ჩაბარების სერთიფიკატი;**

ქ.ქუთაისი
მის: როძევიჩის ქ. 2
ტელ: 599467373; 579111071

ბილაინი საკუთარ მომხმარებლებს iPhone-ზე განვადების საუკეთესო პირობებს სთავაზობს

საქართველოში ყველაზე დინამიურად მზარდი მობილური ოპერატორი ბილაინი დღეიდან მომხმარებელს iPhone 6 (16 GB Space Grey) საუკეთესო განვადების პირობით შესთავაზებს. პირველადი შენატანის გარეშე და 12 თვიანი 0:-იანი განვადების სისტემით, ბილაინის მომხარებლები iPhone 6-ის შეძენას თვეში 153,33 ლარად შეძლებენ.

აქვე iPhone -ს შეძენისას ბილაინის აბონენტებს ექნებათ საშუალება ერთი წლის განმავლობაში ისარგებლონ ბონუსით :

—ულიმიტო წუთები ბილაინის ქსელში

— ულიმიტო სმს

— 1 გბ LTE ინტერნეტი

— ულიმიტო whatsapp

„ჩვენ ვცდილობთ რომ არსებულ და ახალ აბონენტებს მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი მომსახურება შევთავაზოთ. დღითიდღე იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, ვინც ბილაინს მობილური მომსახურების გარდა, მობილური ტელეფონების შესაძენადაც აკითხავს. iPhone-ი ერთრი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი მობილური ტელეფონია, სწორედ ამიტომ iPhone 6 ჩვენს მომხმარებელს განვადების ყველაზე ხელსაყრელი პირობებით და ერთი წლის განმავლობაში სპეციალური აქციით შევთავაზეთ, რითაც ვასრულებთ ჩვენს პირობას — ყოველთვის ყველაზე დაბალი ფასი," — აცხადებეს კომპანიის კომერციული დირექტორი **ლაშა ტაბიძე.**

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ფოტოვიქტორინაზე

ჩვენი ქალაქის მერი **შოთა მურღულია** მხოლოდ **დავით კიკაბიძემ** ამოიცნო

რას დაარქმევდით?

თამარ ბერუჩაშვილი

დავით უსუფაშვილი

დავთ უსუფაშვილი: „ეჰ, ჩემო ქალო თინაო, ჯარში რამ დაგარჩინაო..."

თაკო გაფრინდაშვილი

კროსვორდი



თარაზულად: 3. აფრიკის უდიდესი ქვეყანა მოსახლეობით. 5. ხორთუმიანი ცხოველი. 6. ბოლოსწინა ბერძნული ასო. 8. გაფრთხილება ძიუდოში. 9. მცენარეთა სამყარო. 11. მისი დედაქალაქია კინგზტონი.

შვეულად: 1. პიპინიას ვაჟი. 2. დიდი ჩაქუჩი. 3. მზიდან მერვე პლანეტა. 4. მისი დედაქალაქია ვენა. 7.... პრესლი. 10. სირაქლემას სახეობა.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. არიადნე. 5. მავრი. 6. აგა. 8. უთო. 9. კროლი. 11. ალფარდი.
შვეულად: 1. ნიორი. 2. ადა. 3. ამალთეა. 4. ენგელსი. 7. ორერა. 10. იფი.

სუდოკუ

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეულ რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამეორდეს!

	1						8	
			7		2			1
5				9				4
3		7				1		2
		8	3		6	4		
6		5				8		9
7				3				6
		6	1		8			
	3						4	

ფერები, რომელიც აკლია ქუთაისს...

რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში ხეტიალისას, ერთმა ფოტომ მიიტაცა ჩემი მზერა. უცებ ჩავუარე, თუმცა მაშინვე უკან მომაბრუნა — სინათლე, სითბო, სიხარული იღვრებოდა იმ ფოტოდან. რომელიღაც, ჩემთვის უცნობი მხატვრის ნახატის ფოტო-რეპროდუქცია იყო.

დავით კეზევაძე მეუღლესთან ერთად

„როგორ ჰგავს ქუთაისს" — გავიფიქრე, მოვიწონე („დავალაიქე"), გზა გავაგრძელე, მაგრამ თითქოს ისევ დამიძახა ნახატმა. კვლავ მასთან დავბრუნდი.

„ჰგავს კი არა, ქუთაისია, „წითელი ხიდიდან" დანახული რიონის მარჯვენა სანაპირო, გორაზე შეფენილი აივნიანი სახლები, წმინდა გიორგის ეკლესია... მაგრამ... მაგრამ... ეს ფერები? ეს სიმსუბუქე?" — მოჯადოებულივით ვუყურებდი.

„ძველი ქალაქი" — ასე უწოდებია ავტორს ნახატისთვის. კუთხეში მხატვრის ინიციალებიც ამოვიკითხე „დ.კ."

„მაინც რა მშვენიერია ცხოვრება" — ეს განწყობა შემიქმნა ნახატმა. ფიქრებშიც ამედევნა...

მიუხედავად იმისა, რომ ეს სიჭრელე რეალურად არასდროს მინახავს ქალაქის ამ ძველ უბანში, ნახატის ყოველი ფერი, ყოველი შტრიხი მაინც იმაზე მიანიშნებდა, რომ ავტორი აუცილებლად ქუთაისელი უნდა ყოფილიყო.

მერე მხატვრის სხვა ნამუშევრების ნახვაც მომინდა.

იშვიათად მინახავს ასეთი ფერადი ნახატები, ასეთი დადებითი და ნათელი აურით, გადამდები სიხალისით.

„სხვებსაც უნდა ვანახო, სხვებმაც უნდა იცოდნენ, სხვებიც დატკბნენ!" — გადავწყვიტე.

„ძველი ქალაქის" ფოტო ლეო-ლეონოვა-დავით კეზევაძის მიერ იყო დადებული. წერილი გავუგზავნე...

ასე დაიწყო ჩემი ურთიერთობა ქუთაისელი მხატვრის, **დავით კეზევაძის** მეუღლესა და მენეჯერთან, ხელოვნებათმცოდნე **ვასილინა ჩესნოკოვასთან (ლეო ლეონოვა).**

ისინი ახლა ესპანეთში, ალიკანტეში ცხოვრობენ.

მხატვრის გზა ალიკანტემდე კი ასეთი იყო:

დაიბადა ქუთაისში, 1964 წელს.

მათ ოჯახში არავინ ხატავდა, სამაგიეროდ — ყველა მღეროდა, ბაფთიანი გიტარის თანხლებით. შემოქმედების, ხელოვნების სიყვარული პატარა დავითში ფერების სიყვარულად იქცა.

ბიჭმა ხატვა დაიწყო, თუმცა თავისი პირველი ნახატები არ ახსოვს.

32-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეს მასწავლებელ ლიუდმილა ჯორბენაძის რჩევით ქუთაისის გ. მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლაში იწყებს სწავლას. ხატვის საფუძვლებს ისეთი ცნობილი მხატვრები ასწავლიდნენ, როგორებიც იყვნენ ავთანდილ აბესაძე, სოსო ჩოგოვაძე, არჩილ ჩოგოვაძე, გურამ კვიმსაძე, რეზო რამიშვილი...

დავით კეზევაძის გამორჩეული ხელწერა მალევე იქნა შემჩნეული და აღიარებული.

ერთხელაც, მისი ნახატები ქუთაისში სტუმრად ჩამოსულმა ცნობილმა რუსმა ჟურნალისტმაც ნახა, რომელმაც ნიჭიერ ყმაწვილს ურჩია, სწავლა მოსკოვში გაეგრძელებინა. ოჯახი მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ შეხვედრია დავითის გადაწყვეტილებას მოსკოვში წასვლის თაობაზე, მაგრამ ახალგაზრდა მხატვარს სჯეროდა საკუთარი შესაძლებლობების და მაინც წავიდა.

სიძნელეების მიუხედავად, სტუდენტი გახდა და 1989 წელს დაამთავრა „მხატის" ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სკოლა-სტუდია, თეატრისა და კინოს მხატვრობის ფაკულტეტი.

სტუდენტობიდანვე მონაწილეობდა საქალაქო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

1989 წლიდან მუშაობდა ქუთაისის დავით კაკაბაძის სახელობის სამხატვრო გალერეაში, საგამოფენო განყოფილების გამგედ. პარალელურად, ქუთაისის ხელოვნების ინსტიტუტში ფერწერას ასწავლიდა მოდელირების ფაკულტეტზე.

1990-2000 წლებში მხატვრულად გააფორმა 20 სპექტაკლი საქართველოს სხვადასხვა თეატრში.

იყო „თეატრი მეორე სართულზე" მთავარი მხატვარი.

1999 წელს აირჩიეს საქართველოს მხატვართა კავშირის წევრად.

შემდეგ ისევ რუსეთში დაბრუნდა, სადაც აფორმებდა სპექტაკლებს, მონაწილეობდა გამოფენებში, სხვადასხვა საინტერესო საერთაშორისო პროექტებში.

2006 წელს მისი ნახატები გამოიფინა მოსკოვში, ვასილინა ჩესნოკოვას გალერეაში „კვად-არტ", სადაც დაიწყო მხატვრის და გალერისტის სიყვარულის ამბავიც(?), რომელიც ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა.

მათი ვაჟი, 6 წლის სანდრო, ჯერ არასდროს ყოფილა საქართველოში, თუმცა მშვენიერი ქართულით საუბრობს და ქართულ ჩოხასაც მოხდენილად ატარებს.

დავით კეზევაძე ამჟამადაც აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ეწევა, ხატავს, აქვს სკოლა-სტუდია, სადაც ბავშვებს ხატვას ასწავლის.

გასულ წელს, ქუთაისში მხატვრის 50 წლის იუბილე მის გარეშე აღნიშნეს დავითის მეგობრებმა.

— ქუთაისში, საქართველოში თუ აპირებთ გამოფენის მოწყობას-თქო.

— არა, აღარ მაინტერესებს გამოფენებიო, — მხატვარი სიტყვაძუნწი რესპონდენტი აღმოჩნდა, თუმცა მის სათქმელს ხომ მისი ნახატები ფერებით ამბობენ.

არაო, მაგრამ მე მაინც მჯერა, ერთ დღესაც, დავით კეზევაძის ნახატები ისევ გააფერადებს ძველ ქალაქს და ინიციალები „დ.კ." უცხო აღარ იქნება ქუთაისისთვის...

ირმა მარდალეიშვილი